განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

1-20 თებერვალი 2022

7 მარტი 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 29.08.2016, №121 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 29 აგვისტოს №121 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 1-20 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა **სრულად შეესაბამება** აკრედიტაციის შესაფასებლად წარმოდგენილ 3 სტანდარტს:

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის მიზნებში დაკონკრეტდეს დარგის ისეთი შინაარსობრივი კონტექსტი როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს მიდგომები..., ,,საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს....", რომ იყოს გაზომვადი.
2. სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.
3. სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.
4. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი.
5. სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
6. „პროფესორის ასისტენტობის" კომპონენტის შემთხვევაში სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად გათვალისწინებული იქნას კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები. დასაზუსტებელია სწავლის შედეგების ფორმულირება „დიდი ქვეყნების საგარეო

პოლიტიკის“ არჩევითი, „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „კვლევის მეთოდები“, „პროფესორის ასისტირების“ სავალდებულო და „კონფლიქტების მოგვარების თეორიები“, არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში.

7. „აკადემიური წერის“ სასწვლო კურსის სილაბუსში საჭიროა დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება სამაგისტრო საფეხურის სილაბუსისგან. „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რათა განხილული იქნას თანამედროვე პროცესები. სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება „სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსის სილაბუსის ფარგლებში.
8. სასურველია პროგრამაში პროგრამის მდგრადობის გაძლიერებისთვის და პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ჯეროვნად განხორციელებისათვის დარგობრივი მიმართულებით გაიზარდოს აკადემიური აფილირებული პერსონალის და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და სადოქტორო პროგრამის მიზნების მიხედვით მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის მიზნები. განხორციელებული ცვლილების შედეგად გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის შესაბამისი დონე, ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით. განისაზღვრა პროგრამის 4 მიზანი: - იცნობს **საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს მიდგომებს და** სისტემურად და კრიტიკულად იაზრებს სპეციალობის თემატიკას ინტერ-დისციპლინურ ჭრილში; - პროფესიულ და ფართო საზოგადოებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე წარუდგენს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესახებ სხვადასხვა** აქტუალური, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ თუ სინთეზურ ანალიზს და მონაწილეობს თემატურ დისკუსიებში; - დამოუკიდებლად ახორციელებს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ** ინოვაციურ კვლევით ან პროფესიულ პროექტებს, ხელმძღვანელობითი, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით.<br>სასურველია პროგრამის მიზნებში დაკონკრეტდეს დარგის ისეთი შინაარსობრივი კონტექსტი როგორიცაა: **საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლესი მიდგომები..., „საერთაშორისო ურთიერთობების სფერო....“, რომ იყოს გაზომვადი. ასევე სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ტავტოლოგია.**<br>წარმოდგენილი მიზნები სწავლის შედეგის კონტექსტით ზოგადად ასახავს რომ პროგრამის მიზანი სფეროს ფუნდამენტური ცოდნის გადაცემაა და დარგობრივ ჭრილში შესაბამისი უნარების განვითარებაა. სადოქტორო პროგრამის დანართი მოიცავს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკას, რომელიც ადასტურებს ურთიერთკავშირს მოცემულ კომპეტენციებსა და მიზნებს შორის. ჩამოთვლილი მიზნები ზოგადად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თუ რა ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნას, უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს ამზადებს აღნიშნული პროგრამა, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის |

შესაძლებლობას.

წარმოდგენილია დოკუმენტი - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთან, სადაც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტები შერჩეულ იქნენ პროგრამის სახელის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების დონის და **პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით**, თუმცა პროგრამის მიზნების თანხვედრის ანალიზი მოცემულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი. **სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.**

პროგრამა კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
2. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
3. დოკუმენტი - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთ

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამის მიზნებში დაკონკრეტდეს დარგის ისეთი შინაარსობრივი კონტექსტი როგორიცაა: **საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს მიდგომები..., ,,საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს....“, რომ იყოს გაზომვადი.**

სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.

სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ხუთი შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი 1: **გადმოსცემს** საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ღრმა, სისტემურ, თეორიულ და **პრაქტიკულ ცოდნას**; **განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კონცეფციებს.**

სწავლის შედეგი 2: **აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების ინტერესებს, მოტივებსა და მიზნებს. ასევე, კონფლიქტის ძირითად წყაროებს და მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე სადავო საკითხებს.**

უნარი

სწავლის შედეგი 3: **აანალიზებს** და გადაჭრის საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურ საკითხებსა და პრობლემატიკას **ნასწავლი კონცეპტუალური და თეორიული მიდგომების გამოყენებით**. ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით გეგმავს და უძღვება ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კვლევით პროექტებს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში**, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით.

სწავლის შედეგი 4: ახდენს საკუთარი კვლევის შედეგების დემონსტრირებას ადგილობრივი და საერთაშორისო აუდიტორიისთვის, მონაწილეობს სამეცნიერო დისკუსიაში.

პასუხისმგებლობა და ავტონომია

სწავლის შედეგი 5: **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში,** აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში, ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს ან/და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი მეტწილად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სავალდებულოა სასწავლო კურსს წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში. აქედან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად თანხმობაშია პროგრამის მიზნებთან.

მოცემულ სწავლის შედეგები მოითხოვს ტექნიკურ-ორგანიზაციულ და შინაარსობრივ დაზუსტებას, რომ იყოს მკაფიო, გაზომვადი სწავლების საფეხურის შესაბამისი. ზოგადად სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება სწავლების სადოქტორო საფეხურს.

სწავლის პირველი შედეგი:

,,**გადმოსცემს** საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ღრმა, სისტემურ, თეორიულ და **პრაქტიკულ ცოდნას**; **განმარტავს საერთაშორისო**

**ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კონცეფციებს“** - შედეგება ორი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში აღნიშნულია ,,**გადმოსცემს** საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ღრმა, სისტემურ, თეორიულ და **პრაქტიკულ ცოდნას**“ - დასაზუსტებელია **,,გადმოსცემს..... პრაქტიკულ ცოდნას“,** ხოლო მოცემულ შედეგის მეორე ნაწილი ,,**განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კონცეფციებს“** სუსტად შეესაბამება სწავლების მერვე საფეხურს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

სწავლის მეორე შედეგი

,,**აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების ინტერესებს, მოტივებსა და მიზნებს. ასევე, კონფლიქტის ძირითად წყაროებს და მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე სადავო საკითხებს,** - სუსტად შეესაბამება სწავლების მერვე საფეხურს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგებში მკაფიოდ არ ჩანს თუ რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას მისცემს ის კურსდამთავრებულს.

სწავლების მესამე შედეგი

,,**აანალიზებს** და გადაჭრის **საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურ** საკითხებსა და პრობლემატიკას **ნასწავლი კონცეპტუალური და თეორიული მიდგომების გამოყენებით**. ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით გეგმავს და უძღვება ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კვლევით პროექტებს **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში**, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით, - აღნიშნულ შედეგში დასაზუტებელია, ,,ანალიზის“ განმსაზღვრელი შინაარსი, რომ ის მოვიდეს სწავლების მე-8 საფეხურთან შესაბამისობაში და ასევე დაზუსტდეს ,,**ნასწავლი კონცეპტუალური და თეორიული მიდგომების..,** **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში..,** შინაარსობრივი კონტექსტი.

სწავლის მეხუთე შედეგი

,,**საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში,** აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში, ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს ან/და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით“. აღნიშნული შედეგი პირდაპირ იმეორებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შაბლონურ ტექსტს და მას დამატებული აქვს მხოლოდ ზოგადი წინადადების კონტექსტი ,,**საერთაშორისო ურთიერთობების სფერო“,** რაც ძალიან ზოგადი და მოითხოვს დაზუსტებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე **სასურველია** პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში ასევე გაწერილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსები.

საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით:

მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები 3 წლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში

დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება დადებითი ქულით და იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი; ან ჯგუფის საშუალო ქულა არანაკლებ 80%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირადპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის" პრინციპით). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები. თუმცა დოკუმენტის - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესწავლამ, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართების და მათი მიღწევის შეფასების დონეების ნაწილში გამოავლინა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით:

**სწავლის 1-ლ შედეგი** - ,,გადმოსცემს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ღრმა, სისტემურ, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას; იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კონცეფციებს.", ცოდნის ნაწილში განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ინდიკატორები:

1. **გადმოსცემს** პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითად თემებს და დებატებს და **გაცნობიერებული აქვს** ამ იდეების კავშირი საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჭრილში.
2. **გადმოსცემს** საერთაშორისო ურთიერთობების კალსიკურ და თანამედროვე თეორიებს, მთავარ საკითხებს, ძირითად ავტორებს და კონცეფციებს და **შეუძლია** რთული საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების **თეორიული განზოგადება და ახსნა.**
3. **კრიტიკულად აფასებს** არსებულ პოლიტიკურ თეორიებს საერთაშორისო ურთიერთობებში, ინდენტიფიცირებას უკეთეს საკუთარ პოზიციებს მიმდინარე დებატებთან დაკავშირებით და ახორციელებს კვლევას მისთვის საინტერესო თეორიული სკოლის ფარგლებში.

**სწავლის შედეგი 2:** აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების ინტერესებს, მოტივებსა და მიზნებს. ასევე, კონფლიქტის ძირითად წყაროებს და მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე სადავო საკითხებს. განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ინდიკატორები:

**1. აღწერს** საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების ინტერესებს, მოტივებსა და მიზნებს.

**2. აღწერს** კონფლიქტის ძირითად წყაროებს და მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე სადავო საკითხებს.

ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში წარმოდგენილი სწავლის შედეგები და ზოგიერთი მოცემული მისი შეფასების ინდიკატორი არა რელევანტურია, რაც შეიძლება გახდეს სწავლის შედეგების არა სწორი შეფასების საფუძველი, ამიტომ სასურველია სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის

| |
|---|
| რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო, ნათელი და გაზომვადი.<br>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის კვალიფიკაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში<br>2. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>3. დოკუმენტის - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>1. **სასურველია** პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი.<br>2. **სასურველია** სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობებიის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და რეგულირდება კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დებულებით.<br>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც პროგრამის აღწერილობაში და პროგრამის ვებ გვერდზე, ასევე, თვითშეფასების ანგარიშში. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის ვებ გვერდზე.<br>*პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიპოვება პროგრამის აღწერილობაში, კერძოდ, ჩამოთვლილია შემდეგი დაშვების პირობები:* არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება ან/და 2.5-ზე მეტი GPA სამაგისტრო საფეხურზე. პრიორიტეტი ენიჭებათ პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, ევროპული კვლევების, საჯარო მმართველობისა და ეკონომიკის მაგისტრებს. დოქტორანტურაში ჩასარიცხად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი და რეზიუმე; წიგნის ან სამეცნიერო სტატიის 1-2 გვერდიანი მიმოხილვა-ანალიზი (დეტალური მოთხვონები მოცემულია პროგრამის აღწერაში); სადოქტორო კვლევის წინასწარი მონახაზი (პროსპექტუსი).<br>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი სერტიფიკატით (ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში ინიშნება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა). სერტიფიკატის წარდგენისგან კანდიდატი თავისუფლდება, თუ მას ინგლისურ ენაზე ნასწავლი აქვს საზღვარგარეთის უნივერსიტეტში (მინიმუმ 1 სემესტრი), ან დასრულებული აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამა. აპლიკანტმა უნდა ასევე გაიაროს კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრება.<br>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტრო პროგრამის სპეციფიკას და მაღალი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დოქტორანტურის |

| |
|---|
| დებულება;<br>○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან, სადაც სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს (ECTS) და შედგება 55 კრედიტის მოცულობით შვიდი სავალდებულო კომპონენტისაგან, კერძოდ, „სადოქტორო სემინარი“ (10 კრედიტი), „აკადემიური წერა“ (5 კრედიტი), „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია“ (5 კრედიტი), „სწავლების მეთოდები“ (10 კრედიტი), „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ (10 კრედიტი), კვლევის მეთოდები“ (10 კრედიტი), „პროფესორის ასისტირება“ (5 კრედიტი). ასევე, პროგრამა სთავაზობს სტუდენტს ორ არჩევით საგანს, თითოეული 5 კრედიტის მოცულობით: „კონფლიქტების მოგვარების თეორიები“, „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა“. სადოქტორო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 3 წელს. პროგრამის მაქსიმალური ვადაა 5 წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით. სემესტრი მოიცავს 20 კალენდარულ კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კალენდარულ კვირაზე.<br>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტის მოცულობით) ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და მის დაცვას. დისერტაციის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა დოქტორანტის მიერ საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. სადოქტორო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. სტუდენტმა უნდა შეძლოს სადოქტორო ნაშრომში დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდიკის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი. სადოქტორო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მეცნიერებაში |

| |
|---|
| მნიშვნელოვანი წვლილის შემტან ნაშრომს.<br>სადოქტორო ნაშრომის დამტკიცებული სათაურის და წარმატებით დაცული პროქსპექტუსის გარდა, დოქტორანტი ამზადებს სადოქტორო კოლოქვიუმს, რომელიც წარმოადგენს დისერტაციასთან დაკავშირებულ, მაგრამ აკადემიურად სრულყოფილ ნაშრომს, არანაკლებ 30-40 გვერდის მოცულობით, რომელიც პირდაპირ კავშირშია დისერტაციასთან. სადოქტორო კოლოქვიუმი I წარმოდგენილი უნდა იქნას სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისთვის სწავლის მეოთხე სემესტრის ბოლოს, ხოლო კოლოქვიუმი II - სწავლის მეხუთე სემესტრის ბოლოს.<br>დოქტორანტს დისერტაციის წარდგენა შეუძლია კოლოქვიუმი II დაცვიდან მომდევნო სემესტრში. დისერტაცია ჩაბარებამდე გაივლის შემოწმებას მსგავსების ამომცნობ სპეციალურ პროგრამაში („ტურნიტინი“). იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება გადაცდომებს, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა.<br>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა, ძირითადად, შეესაბამება სწავლების საფეხურით და კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დოქტორანტურის დებულება;<br>○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება:**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც დადგინდა შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი.<br>სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია საკვანძო როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადად, სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში დოქტორანტს საშუალებას აძლევს, დაეუფლოს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლას და შემდგომ დისციპლინაში არსებული კვლევების და მიღწევების კრიტიკულ გაანალიზებას, ასევე კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.<br>ამასთან, ყურადღება მისაქცევია სწავლის შედეგების ფორმულირებაზე პროგრამის რამდენიმე კომპონენტის თვალსაზრისით. „პროფესორის ასისტირების" კომპონენტის შემთხვევაში სასურველია, სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად გათვალისწინებული იქნას კვლიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები. კრედიტებით დატვირთვიდან გამომდინარე, სასურველია „პროფესორის ასისტირებას" მიენიჭოს 10 კრედიტი, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების" - 5 კრედიტი, როგორც „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის" სასწავლო კურსის შემთხვევაში.<br>ზემოთ აღნიშნულის გარდა, დასაზუსტებელია სწავლის შედეგების ფორმულირება „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის" არჩევითი, „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", „კვლევის მეთოდები" სავალდებულო და „კონფლიქტების მოგვარების თეორიები" არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში.<br>„აკადემიური წერის" სასწვლო კურსის სილაბუსში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება სამაგისტრო საფეხურის სილაბუსისგან. „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის" არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია, განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე პროცესებზე, ასევე სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება „სწავლების მეთოდების" სასწავლო კურსში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დოქტორანტურის დებულება;<br>○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ „პროფესორის ასისტირების" კომპონენტის შემთხვევაში სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად გათვალისწინებული იქნას კვლიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები. დასაზუსტებელია სწავლის შედეგების ფორმულირება „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის" არჩევითი, „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", „კვლევის მეთოდები", „პროფესორის ასისტირების" |

| |
|---|
| სავალდებულო და „კონფლიქტების მოგვარების თეორიები“, არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში.<br>○ „აკადემიური წერის“ სასწვლო კურსის სილაბუსში საჭიროა დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება სამაგისტრო საფეხურის სილაბუსისგან. „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რათა განხილული იქნას თანამედროვე პროცესები. სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება „სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსის სილაბუსის ფარგლებში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა საფეხურისა და სწავლის შედეგების შესაბამისად მიმართულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებისკენ. ყოველივე კარგად ჩანს სასწავლო კურსებსა და მისი სწავლების მეთოდებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზანმიმართულია სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისკენ. კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სადოქტორო პროგრამის დასრულებისას დოქტორანტი ამზადებს დისერტაციას, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც საფუძვლად უდევს მოპოვებული ახალი ცოდნა და, რომელიც მოწოდებულია წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დარგის განვითარებაში. შესაბამისად, სადოქტორო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. სადისერტაციო ნაშრომის ზომას, ფორმატს და სტილს განსაზღვრავს სკოლის სადისერტაციო საბჭო.<br>ამასთანავე, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები „პროფესორის ასისტირება“ და „აკადემიური წერა“ მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განვითარების, „კვლევის მეთოდები“ - სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიის კრიტიკული შეფასების უნარების დახვეწის თვალსაზრისით. დოქტორანტის პრაქტიკული/სამეცნიერო უნარების განვითარებას ემსახურება „სადოქტორო სემინარი“, ხოლო ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის“ სავალდებულო სასწავლო კურსი, ქმნის ფუნდამენტს, რის საფუძელზეც დოქტორანტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს |

| |
|---|
| სხვადასხვა აქტუალური, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დოქტორანტურის დებულება;<br>○ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება:**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
